1749/4-2/22 2 24022022

1749/4-2/22
24-02-2022

სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის

რეგულირების სააგენტოს დირექტორს,

ბატონ ზაალ კაპანაძეს

ბატონო ზაალ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^{10} მუხლის საფუძველზე რამდენჯერ დაფიქსირდა ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმების დარღვევა ბოლო 8 წლის განმავლობაში (2015-2022 წწ.), თითოეული წლისათვის ცალ-ცალკე როგორც მუხლის პირველი, ასევე მე-2 ნაწილის საფუძველზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities

KA030229379822622

საქართველო, თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, +955 32 2 51 00 11 (12-11), rama.moh.gov.ge, regagency@moh.gov.ge
144 Ak. Tsereteli Ave, 0119, Tbilisi, Georgia, +995 32 2 51 00 11 (12-11), rama.moh.gov.ge, regagency@moh.gov.ge

№ 02/3430 **25 / თებერვალი / 2022 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შემოსულია თქვენი წერილი (1749/4-2/22 24.02.2022), რომლის მიხედვითაც მოთხოვნილია ინფორმაცია ბოლო რვა წლის განმავლობაში (2015-2022წწ.) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^{10} მუხლის საფუძველზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების რაოდენობის შესახებ.

თქვენი წერილის (1749/4-2/22 24.02.2022) პასუხად გაცნობებთ, ბოლო რვა წლის განმავლობაში (2015-2022წწ.) ერთხელ, 2015 წელს შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^{10} პირველი ნაწილის საფუძველზე.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაალ კაპანაძე